თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 4

27 თებერვალი 2019 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 24 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - არჩილ თხლაშიძე

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — გიგა ორკოდაშვილი

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — დავით გოგოშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე — დავით ღაღანიძე;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ნანა ხვისტანი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე — ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე — ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე — მაია მარკოზაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე — არჩილი თვალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მუსაევი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე ვასილ არაბული;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე ბაადური რევაზიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარე ალექსანდრე კუპატაძე

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნაცარაშვილი

საკრებულოს წევრები: ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, აბრამ მახარიაშვილი(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **ფიქრია ყუშიტაშვილი;**
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ნუგზარ ბაჩიაშვილი;**
საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები - **ნიკა სახიაშვილი, მთვარისა სოლომნიშვილი;**
კავშირი ,,ლამპარი“-ს წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მარტის თვეში სურვილი აქვს ისარგებლოს შვებულებით და აგრეთვე თვის ბოლოს დაგეგმილია მისი მივლინება, შესაბამისად მოითხოვა საკითხების დღის წესრიგში შეტანა და აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. ფრაქცია „ძლიერი სოფელი“ დაფუძნების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.10სთ-დან - 12.30 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
12.30სთ-დან - 12.40 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ფ.ყუშიტაშვილი
12.40სთ-დან - 12.50 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №69 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.50სთ-დან - 13.00 სთ-მდე

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა - 13.00 სთ-დან -13.10 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნანა წიწაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.გ.თავბერიძე
13.10 სთ-დან -13.20 სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ალექსი ღარიბაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.გ.თავბერიძე
13.20 სთ-დან -13.30 სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში

მომხს. გ.თავბერიძე
13.30 სთ-დან -13.40 სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ნ.ხვისტანი
13.40 სთ-დან -13.50 სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ.

მომხს. დ.ღაღანიძე
13.50 სთ-დან -14.00 სთ-მდე

11. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შვებულებისა და მივლინების შესახებ

12. სხვადასხვა

აღნიშნული სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> ფრაქცია „ძლიერი სოფელი" დაფუძნების შესახებ

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ნ. ხვისტანმა წარმოადგინა სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა ფრაქცია ,,ძლიერი სოფელი"-ს დაფუძნების შესახებ.

<u>დაადგინეს:</u> ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი" დაფუძნება, ფრაქციის თავმჯდომარედ ალექსანდრე კუპატაძის, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ ზურაბ ნაცარაშვილის არჩევა მიღებულ იქნას ცნობად.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.10სთ-დან - 12.30 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ბ. რევაზიშვილმა დასვა კითხვა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს მომხსენებელმა და საკრებულოს წევრმა -საგანმანათლებო რესურსცენტრის უფროსმა - ლ. მრელაშვილმა.

ნ. ვაყელიშვილმა აგრეთვე ისაუბრა იმის თაობაზე, რომ მერის ბრძანების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა საქართველოს მთავრობის მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხა.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა)

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხს.

გ.ენუქიძე

12.30სთ-დან - 12.40 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. ღაღანიძემ,

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22-მა (ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 2-მა (ორი) წევრმა: ლ. მენთეშაშვილი ზ.ნაცარაშვილმა.

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ფ.ყუშიტაშვილი

12.40სთ-დან - 12.50 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ლ. მენთეშაშვილმა დასვა კითხვა არქეოლოგიურ ბანაკში მონაწილე მოსწავლეების შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით.
მომხსენებელმა და ლ. მრელაშვილმა შეკითხვასთან დაკავშირებით გააკეთეს შესაბამისი განმარტებები.
ბ. რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ საკრებულოს წევრები შეხვდებიან პროექტში მონაწილე ბავშვებს.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №69 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი

12.50სთ-დან - 13.00 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ი. პარწიკანაშვილმა, დ. ღაღანიძემ,

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა - 13.00სთ-დან -13.10 სთ-მდე

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნანა წიწაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.გ.თავბერიძე
13.10 სთ-დან -13.20 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23-მა (ოცდასამი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა(ერთი) წევრმა: **ა. კუპატაძემ.**

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ალექსი ღარიბაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.გ.თავბერიძე
13.20 სთ-დან -13.30 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23-მა (ოცდასამი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა (ერთი) წევრმა: **ა. კუპატაძემ**

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
13.30 სთ-დან -13.40 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22-მა (ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 2-მა (ორი) წევრმა: **ლ. მენთეშაშვილი, ა. კუპატაძე.**

9.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ნ.ხვისტანი
13.40 სთ-დან -13.50 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **დ.ღაღნიძემ, ზ.მუსაევმა** აღნიშნეს, რომ პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს ყველა წევრმა და თითოეული მათგანის მოსაზრება გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროექტში.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

10.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ.

მომხს. დ.ღაღანიძე
13.50 სთ-დან -14.00 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ლ. მენთეშაშვილმა აღნიშნა რომ მოსახლეობის უმრავლესობა უკმაყოფილოა ტაქსებისთვის დიდი რაოდენობით პარკირების ადგილების გამოყოფის გამო.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გადაიხედება ტაქსების დგომის ადგილები და გარკვეული რეგულაციებიც უნდა ამოქმედდეს ტაქსებთან დაკავშირებით.

გ. მამუკელაშვილმა კი ისაუბრა პარკირების რეგულირების აღსრულების სირთულესთან დაკავშირებით.

ბ. რევაზიშვილმა ისაუბრა კონკრეტულ პრობლემებზე, რომლებიც არსებობს საგზაო ნიშნებთან დაკავშირებით.

ი. პარწიკანაშვილმა კი სოფელ აკურაში გამავალ სატრანსპორტო გზაზე არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა მოუწოდა საკრებულოს ყველა წევრს, თავიანთი მოსაზრებები წარუდგინონ კომისიას და ერთობლივად დაისახოს განსახორციელებელი ღონისძიებები.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>11.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შვებულებისა და მივლინების შესახებ

<u>დაადგინეს:</u> 1. მიეცეს შვებულება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს არჩილ თხლაშიძეს 2019 წლის 4 მარტიდან - 8 მარტის ჩათვლით;

2. მივლინებულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე, ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გლუბოკოეში 2019 წლის 21 მარტიდან - 29 მარტის ჩათვლით.

3. საკრებულოს თავმჯდომარის შვებულებასა და მივლინებაში ყოფნის პერიოდში, თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება დაევალოს თავმჯდომარის მოადგილეს - გიგა ორკოდაშვილს.

(აღნიშნულ გადაწყვეტილებებს მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>12.მოისმინეს:</u> „სხვადასხვა“

1. გ. მამუკელაშვილმა დააყენა ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველების“ ინიციატივა ქალაქ თელავში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, მცირე სანაგვე ურნების განთავსების აუცილებლობის შესახებ.
2. ი. პარწიკანაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია სოფლებში მოხდეს ქუჩების სახელდება. მან ისაუბრა სოფელ აკურაში არსებულ ვითარებაზე და იმ კონკრეტულ ქუჩებზე, რომელთა სახელდების საკითხებიც აინტერესებს მოსახლეობას.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**